N2576

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
"გ ზ ა"

GEORGIA
ADJARIAN AUTONOMOUS REPUBLIC
LIMITED COMPANY
"GZA"

№04/10-187 «26» სექტემბერი 2017 წ.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ გივი ჩოჩიას

ბატონო გივი

როგორც მოგეხსენებათ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და შპს ,,გზას" შორის 2017 წლის 8 აგვისტოს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ. N-17 ხელშეკრულება, საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)- სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე, საავტომობილო გვირაბის მიმდინარედ, მოსაბრუნებელი საავტომობილო გზის (სავარაუდოდ ერთკილომეტრიანი სიგრძის) მოწყობის სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და მის შესაბამისად სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებაზე.

ზემოხსენებული 2017 წლის 8 აგვისტოს ს.რ. N-17 ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საავანსო ანგარიშსწორება, აქედან გამომდინარე წარმოგიდგენთ სს ,,ბანკი ქართუს" მიერ გაცემულ საავანსო გადახდის საბანკო გარანტიას #5829-09/17. ზემოხსენებულიდან გამომდინარე გთხოვთ უზრუნველყოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავანსო თანხის ანგარიშსწორება.

დანართი 1 ფურცელი.

პატივისცემით
დირექტორი *მ. დუმბაძე*

384

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ბმ. N 16372/2
27. 08 2017

595-22-33-93

იურიდიული მისამართი: საქართველო, ბათუმი, 6010, ლუკა ასათიანის, № 51,
ტელ.(ფაქსი): (0422) 22-11-11; ს.კ 245525132

JURIDICAL ADDRESS: 51 STR/LUKA ASATIANI, 6010, BATUMI, GEORGIA.
TEL.(FAX): (0422) 22-11-11; E-MAIL: GZABATUMI@MAIL.RU

№ 219

"26" სექტემბერი 2017

საბანკო გარანტია #5829-09/17

გარანტი:	სს "ბანკი ქართუ" (ს/კ 204891652)
ბენეფიციარი:	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ს/კ 211343982)
პრინციპალი:	შპს "გზა" (ს/კ 245525132)
თანხა და ვალუტა:	875,000.00 (რვაასსამოცდათხუთმეტი ათასი და 00/100) ლარი

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 2017 წლის 08 აგვისტოს პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შ.რ.N3-17 საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი(ასაქცევი)-სარფის საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე მოსაბრუნებელი საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და მის შესაბამისად სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაზე (შემდგომში „ხელშეკრულება"). ხელშეკრულების პირობების თანახმად, ბენეფიციარი ავანსის სახით ჩაურიცხავს პრინციპალს ხელშეკრულების ღირებულების ნაწილს იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი იქნება საბანკო გარანტია. წინამდებარე საბანკო გარანტია უზრუნველყოფს ბენეფიციარის წინაშე პრინციპალის ვალდებულებების სათანადო შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და პრინციპალის თხოვნით, ჩვენ, სს „ბანკი ქართუ" (შემდგომში „გარანტი"), ვკისრულობთ უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას ყოველგვარი დაგვიანების გარეშე, ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის მიღების თარიღიდან შვიდი სამუშაო დღის ვადაში, გადავიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომელიც (რომლებიც) ჯამში არ აღემატება ავანსად ჩარიცხული თანხის ოდენობას. გარანტის ვალდებულების ზღვარი არ აღემატება

875,000.00 (რვაასსამოცდათხუთმეტი ათასი და 00/100) ლარს.

მოთხოვნა ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარდგენილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, წერილობითი ფორმით, მოთხოვნილი თანხის (სიტყვიერად და ციფრობრივად) და ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტების მითითებით, სადაც აღწერილი იქნება პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების ფაქტი ან ფაქტები, თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს წინამდებარე საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

წინამდებარე საბანკო გარანტია ძალაშია **2018 წლის 01 თებერვლის ჩათვლით.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის ორიგინალი წარდგენილი უნდა იყოს გარანტიის ვადის გასვლამდე შემდეგ მისამართზე: ს.ს. „ბანკი ქართუ", 0162 ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. #39ა ან ს.ს. „ბანკი ქართუ" ბათუმის სერვისცენტრი, ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. 2.

წინამდებარე საბანკო გარანტია ძალაში შედის ბენეფიციარის მიერ საავანსო თანხის ჩარიცხვის მომენტიდან პრინციპალის მიმდინარე ანგარიშზე #GE88CR0150009200193605 სს „ბანკ ქართუში".

საბანკო გარანტიის თანხა ავტომატურად შემცირდება გარანტის მიერ ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის საფუძველზე გადახდილი თანხების ოდენობით.

წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად გაუქმდება: ა) ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე წერილობითი უარის წარმოდგენისა და/ან გარანტიის ორიგინალის დაბრუნებით გარანტისათვის; ბ) ამ საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.

ბენეფიციარის მოთხოვნის უფლების გადაცემა მესამე პირზე შესაძლებელია მხოლოდ გარანტის თანხმობით.

საბანკო გარანტიის გარშემო წარმოქმნილი ნებისმიერი დავის გადაჭრა მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

გიორგი ლიპარტია

სერვისცენტრის დირექტორი

სს „ბანკი ქართუ" სერვისცენტრი CARTU BANK CRTUGE22 JSC Cartu Bank

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
"გ ზ ა"

GEORGIA
ADJARIAN AUTONOMOUS REPUBLIC
LIMITED COMPANY
"GZA"

№ 01/10-11

«24» იანვარი 2018 წ.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ პაატა აბუთიძეს

ბატონო, პაატა

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს „გზას" შორის 2017 წლის 8 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ. N3-17 ხელშეკრულებაზე გაფორმებული დანართი N 2-ის შესაბამისად წარმოგიდგენთ „შეტყობინებებს" საბანკო გარანტიებზე N 5775-08/17 და N5829-09/17 ვადის გაგრძელების შესახებ.

პატივისცემით
შპს „გზა"-ს დირექტორი *მ. დუმბაძე*

22

საქართველოს საავტომობილო
გზების დეპარტამენტი
შემ. № 1136/2
თარიღი 25. 01 2018

იურიდიული მისამართი: საქართველო, ბათუმი, 6010, ლუკა ასათიანის, N 51
ტელ./ფაქსი: (0422) 22-11-11; ს.კ 245525132

JURIDICAL ADDRESS: 51 STR/ LUKA ASATIANI, 6010, BATUMI, GEORGIA
TEL. (FAX): (0422) 22-11-11; E-MAIL: GZABATUMI@MAIL.RU

№ 6/256

„24" იანვარი 2018

შეტყობინება

საბანკო გარანტიის #5829-09/17 ვადის გაგრძელების შესახებ

გარანტი:	სს "ბანკი ქართუ" (ს/კ 204891652)
ბენეფიციარი:	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ს/კ 211343982)
პრინციპალი:	შპს "გზა" (ს/კ 245525132)
თანხა და ვალუტა:	875,000.00 (რვაასსამოცდათხუთმეტი ათასი და 00/100) ლარი

გაცნობებთ, რომ პრინციპალის ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2017 წლის 26 სექტემბერს სს „ბანკი ქართუს" მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ გაიცა საბანკო გარანტია #5829-09/17 თანხით 875,000.00 (რვაასსამოცდათხუთმეტი ათასი და 00/100) ლარი, რომელიც ძალაშია 2018 წლის 01 თებერვლის ჩათვლით.

გატყობინებთ, რომ სს „ბანკი ქართუ", როგორც გარანტი, აგრძელებს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადას და გაცნობებთ, რომ **საბანკო გარანტია #5829-09/17 ძალაშია 2018 წლის 02 აპრილის ჩათვლით.**

გარანტიის ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

პატივისცემით,

გიორგი ლიპარტია
სერვისცენტრის დირექტორი